

**სსიპ - კასპის კოლეჯის
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სასწავლო პროცესის
მარეგულირებელი წესი**

1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ №71/ნ ბრძანებისა და სსიპ კასპის კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) წესდების შესაბამისად და არეგულირებს კოლეჯის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა ჩარიცხვის წესსა და პირობებს, მსმენელთა შეფასების პროცედურებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სასწავლო პროცესის ორგანიზება

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებას კოორდინირებს უწევს კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

3. მსმენელის უფლებები და ვალდებულებები

3.1. მსმენელს უფლება აქვს:

- 3.1.1. მიიღოს ხარისხიანი განათლება.
- 3.1.2. ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
- 3.1.3. მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება.
- 3.1.4. გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა.
- 3.1.5. მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ.
- 3.1.6. კოლეჯის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. მსმენელი ვალდებულია:

- 3.2.1. დაემორჩილოს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს და პროფესიული განათლების მასწავლებლის ან სასწავლო პროცესში ჩართული სხვა უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს.
- 3.2.2. მზრუნველობით მოეპყროს და გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას.
- 3.2.3. პატივი სცეს სხვა მსმენელის ღირსებას, არ დაუშვას მისი დაჩაგვრა ან რაიმე ქმედების იძულება.
- 3.2.4. დაიცვას და პერიოდულად ეცნობოდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ კოლეჯის სამართლებრივ აქტებს.
- 3.2.5. დროულად აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას მისამართის ან სხვა პირადი მონაცემის ცვლილების შესახებ.

4. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

4.1. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთი:

- 4.1.1. პროგრამის დასრულება;
 - 4.1.2. სწავლის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ მსმენელის პირადი განცხადება;
5. მსმენელის მიერ, პროგრამით განსაზღვრული მეცადინეობისთვის დათმობილი საათების 50%-ზე მეტის გაცდენა;
6. სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობა;

7. მსმენელის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის აუთენტიკობა/განმსაზღვრელ შეფასებებზე გამოუცხადებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ან სწავლის შედეგის არდადასტურება განმეორებითი შეფასებისას;
8. საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;
9. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი ბრძანებით.
10. სტატუსშეწყვეტილმა პირმა, სურვილის შემთხვევაში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა უნდა გაიაროს თავიდან;

5. მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების აღრიცხვა

- 5.1 მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების აღრიცხვას აწარმოებს პროგრამის განმახორციელებელი პირი და ინფორმაცია შეაქვს სპეციალურ ფორმაში (დანართი N1);
- 5.2 მსმენელთა დასწრების აღრიცხვის ფორმები ინახება ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის არ არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან).

6. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასების სისტემა

- 6.1 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების მსმენელთა შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- 6.2 უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ერთჯერადად.
- 6.3 პროგრამის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი, შესაბამის პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით განსაზღვრავს განმეორებითი შეფასების თარიღს. აღნიშნულ ვადაში მსმენელის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მსმენელი ვერ იღებს უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტს - სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას.
- 6.4 სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე, პროგრამის დასრულებისას.
- 6.5 შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის პროფესიული მომზადების პროფესიული გადამზადების პროგრამებში.
- 6.6 იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგ-კურსებში, რომლის ზოგიერთი სწავლის შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სასწავლო საწარმოში/კომპანიაში) მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი ან/და კოლეჯის პროფესიული მასწავლებელი.
- 6.7 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი.
- 6.8 შეფასება ფიქსირდება აღრიცხვის ჟურნალის ბოლო გვერდზე, შეფასების უწყისში.

7. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების /მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესები

7.1 მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ მუდმივად.

7.2 მსმენლის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით.

7.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს, პროგრამის დასრულებიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა, გადასცემს კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის არ არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი) სათანადო აღრიცხვის მიზნით. კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

- მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსმენელს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.
- ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.
- მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ.
- მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსმენელი იგივე დავალების შესრულებას იმავე კრიტერიუმების შესაბამისად შეძლებს არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც.

7.4. მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის არ არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი), რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამის სახელწოდება,
- მსმენლის სახელი და გვარი,
- პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი
- პასუხისმგებელი პირი
- მტკიცებულებების შენახვის ადგილი

7.5. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

8. შეფასების ინსტრუმენტები

8.1. პროგრამისთვის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელსაც ქმნის პროფესიული მასწავლებელი/ინსტრუქტორი და შესათანხმებლად წარუდგენს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის არ არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან) წერილობითი ფორმით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

8.2. პროფესიული მასწავლებელი/ინსტრუქტორი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას იყენებს პროგრამას;

8.3. აუცილებელია, რომ შეფასების მიმართულება შეესაბამებოდეს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგის შეფასების მიმართულებას (გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება ან პრაქტიკული დავალება დაკვირვებით);

8.4. ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი 1 (ერთი) დღის ვადაში განიხილავს წარდგენილ შეფასების ინსტრუმენტების ფორმას და პროფესიულ მასწავლებელს/ინსტრუქტორს აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს წერილობითი ან/და ზეპირ სიტყვიერი ფორმით;

8.5. შეფასების ინსტრუმენტების ფორმები დამტკიცებულია ამ წესის დანართი N2 - ის შესაბამისად.

9. სერტიფიკატის გაცემა

9.1. სერტიფიკატის გაცემის საფუძველია მსმენელის მიერ პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების ათვისება და განმსაზღვრელ შეფასებებში დადებითი შეფასების მიღება;

9.2. სერტიფიკატის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის არ არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის მიერ კოლეჯის დირექტორს წარედგინება მსმენელთა შეფასების უწყისები;

9.3. სერტიფიკატთან ერთად გაცემა სერტიფიკატის დანართი, რომლის შევსებას ახორციელებს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის არ არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი).

10. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვა და გამოყენება

10.1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი კომპონენტების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის არ არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი) კოლეჯის დირექტორს მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნას წარუდგენს გონივრულ ვადაში;

10.2. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;

10.3. სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი მასალებისა და ნედლეულის გადაცემას პროფესიული მასწავლებლისთვის ახორციელებს კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის მენეჯერის მიღება-ჩაბარების აქტით, შემოსული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

11. მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

11.1. მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- ა) A სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ბ) B სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- გ) C სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

12.1 გადაწყვეტილებას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ იღებს კოლეჯი და ასახავს შესაბამის განაცხადში.

12. კონკრეტულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

12.1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

C სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ მსმენელებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ მსმენელებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში ადგილების ჯამი.

12.2. კონკრეტულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე;

12.3. საწარმოდან გამოყოფილ ერთ ინსტრუქტორზე მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით;

12.4. გადაწყვეტილებას პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის/გაზრდის/შემცირების შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში იღებს კოლეჯი და ასახავს შესაბამის განცხადებაში.